ცხადდება კონკურსი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებისთვის კაროლი გასპარისა და ეტვოშ ლორანდის უნივერსიტეტებში (უნგრეთი), ისევე როგორც გრანადას უნივერსიტეტში (ესპანეთი) ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად!

!!! ფიზიკური მობილობის განხორციელება დამოკიდებული იქნება ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე საქართველოსა და ევროპაში, ასევე მიმღებ ქვეყანაში შესვლასთან და დარჩენასთან დაკავშირებულ რეგულაციაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

- ***კაროლი გასპარის უნივერსიტეტისთვის*** <u>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების აკადემიურ პერსონალს</u>
    - <u>**მობილობის პერიოდი:**</u> 2022-2023 წლის გაზაფხულის სემესტრი
- ***ეტვოშ ლორანდის უნივერსიტეტისთვის*** <u>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების აკადემიურ პერსონალს</u>
    - <u>**მობილობის პერიოდი:**</u> 2023-2024 წლის შემოდგომის სემესტრი
- ***გრანადას უნივერსიტეტის შემთხვევაში*** - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ესპანური ფილოლოგიის აკადემიურ პერსონალს
    - **მობილობის პერიოდი:** 2022-2023 წლის გაზაფხულის სემესტრი (არაუგვიანეს 2023 წლის 30 ივლისისა)

<u>**სტიპენდიატთა შესარჩევი პროცესი:**</u>

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

<u>**სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:**</u>

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. CV-ს ევროპული ფორმატი **ინგლისურ** ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv
4. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე (ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge რეკომენდატორის ველში უნდა შეიყვანოთ თქვენი რეკომენდატორის მონაცემები. რეკომენდატორს მეილზე ეგზავნება ბმული, სადაც ონლაინ ავსებს რეკომენდაციას);
5. შევსებული სამუშაო გეგმა სამუშაო გეგმა. დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული თსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ბეჭდით. დანართი 1;
6. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი **(pre-acceptance)** (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ).

გაცვლითი პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული აკადემიური პერსონალი უნდა დარეგისტრირდეს გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო

პორტალზე mobility.tsu.ge, და ატვირთოს სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) და გამოგზავნოს განაცხადი ელექტრონულად მიმდინარე წლის 29 მაისის 14 საათამდე!

<u>**დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:**</u>

ა) გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალი mobility.tsu.ge

- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი **mobility.tsu.ge** არ არეგისტრირებს განაცხადებას ზემოთ მითითებული ვადის (29 მაისის 14:00სთ) გასვლის შემდეგ;
- პორტალი **mobility.tsu.ge** არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს. სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ **გაგზავნის** ღილაკის დაჭერის შემდეგ. სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.
- გასაუბრებების დრო, თარიღი და ადგილი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე [**mobility.tsu.ge**] მითითებულ მეილზე;

ბ) ფინანსები და Covid-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები

ფიზიკური მობილობის განხორციელება შესაძლოა დაკავშირებული იყოს მიმღებ ქვეყანაში შესვლასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წესების და რეგულაციების დაცვასთან, როგორიცაა **Covid-19** ვაქცინაციის სრული კურსის (მათ შორის, ერთი ან მეტი ბუსტერ დოზის ჩათვლით) გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა, **PCR** ტესტირება (ერთ ან მრავალჯერადად), საკარანტინო სივრცეში დარჩენა, სამოგზაურო, ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევა და სხვა, რაც ფინანსურ ხარჯებთან და დროით რესურსთან არის დაკავშირებული. ყველა ასეთი ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მობილობაში მონაწილის მიერ.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge